საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/2087
03/08/2023

2087-01-2-202308031635

ი/მ ანდრეი ხარბედიას (ს/ნ 58501034201) (კაფე ბარი კოსმო)
მის.: ქ.ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. №11
მის.: ქ.ბათუმი, კონსტანტინე ლესელიძის ქ. №4, ბინა №36

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) შემოსულია ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ 2023 წლის 28 ივლისის N12-1423209221 (სააგენტოში რეგ. №01/2514) წერილი, რომელიც ეხება რიგი მოვაჭრეების, მათ შორის ი/მ ანდრეი ხარბედიას (ს/ნ 58501034201) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტს. აღნიშნული წერილის თანახმად, ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ განხორციელდა მონიტორინგი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივ კვების ობიექტებში, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ კვების ობიექტებში საცნობარო (კვების) მენიუ შედეგენილი და განლაგებულია მხოლოდ არასახელმწიფო ენაზე. გარდა ამისა, ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ განმარტავს, რომ სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, კვების ობიექტებში, ხშირად, მომხმარებლებს უარს ეუბნებიან სახელმწიფო ენაზე მომსახურების გაწევაზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, „ი/მ ანდრეი ხარბედიას (ს/ნ 58501034201) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე საქმის შესწავლის დაწყების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 1 აგვისტოს №04/481 ბრძანების თანახმად, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ ანდრეი ხარბედიას (ს/ნ 58501034201, შემდგომში - მოვაჭრე) მიერ კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. კანონი განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად.

დ.აღმაშენებლის გამზ. 154, 0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2440 770 (2174/2467)
info@gnca.gov.ge
www.gnca.gov.ge

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებენ სააგენტო და შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო.

კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ატარებს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;
- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;
- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;
- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომში – პირობითი ვალდებულებები).

გაცნობებთ, რომ კანონის 33-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი

პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს. აღნიშნულ შემთხვევაში, სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

დანართის სახით გიგზავნით საქმის მასალებს და გთხოვთ, კანონის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია (შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით) ზემოხსენებულ გარემოებებთან დაკავშირებით და აგრეთვე შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

- რა ფორმით და რა ენაზე ხორციელდება ობიექტში მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- გთხოვთ მოგვაწოდოთ კვების ობიექტის საცნობარო (კვების) მენიუ;
- თქვენთან დასაქმებულ იმ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც ობიექტის მომსახურების შესახებ ინფორმაციას აწვდიან მომხმარებლებს;
- თქვენთან დასაქმებული იმ პირების შესახებ სსიპ - შემოსავლების სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაცია, რომლებიც ობიექტის მომსახურების შესახებ ინფორმაციას აწვდიან მომხმარებლებს.

დანართი: „3“ ფურცელი.

მარიამ შაიშმელაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

N 04/481
01.08.2023

ბრძანება

481-01-4-202308011720

ი/მ ანდრეი ხარბედიას (ს/ნ 58501034201) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე საქმის შესწავლის დაწყების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ 2023 წლის 28 ივლისის №12-1423209221 (სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის №01/2514) წერილით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა ი/მ ანდრეი ხარბედიას (ს/ნ 58501034201) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოს ი/მ ანდრეი ხარბედიას.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 აგვისტოს №03/547 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“
N(N)LE BATUMI MUNICIPAL INSPECTION

წერილის ნომერი: **12-1423209221**
თარიღი: **28/07/2023**

ადრესატი: საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

საქართველოს კონკურენციის ეროვნული
სააგენტოს თავჯდომარეს ბატონ ი. ლექვინაძეს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალიტების მიერ საქართველოს ორგანული კანონის „სახელმწიფო ენის შესახებ„ შესაბამისად განხორციელდა მონიტორინგი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივ კვების ობიექტებში კაფე-ბარებში, სახელმწიფო ენის დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა საქართველოს ორგანული კანონის „სახელმწიფო ენის შესახებ“ 24-ე მუხლის (საჯარო ინფორმირების ენა) და 25-ე მუხლის (საჯარო ინფორმირებისთვის განკუთვნილ წარწერათა წარმოდგენა განლაგება) მოთხოვნების დარღვევა. კერძოდ;

კაფე-ბარებში შესული მომხმარებლებისთვის საცნობარო (კვების) მენიუ შედგენილი და განლაგებულია მხოლოდ არსახელმწიფო ენაზე.

ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომ ხშირად უარს ამბობებ მომსახურების გაწევაზე სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, რითაც დარღვეულია (მუხლი 29) მომხმარებლის უფლება, ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე მიიღოს:

1. მომხმარებელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე.
2. სახელმწიფო ენის არცოდნა არ შეიძლება მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მოტივი იყოს

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, თქვენს რეაგირებას.

იხ. დანართი 1 ფურცელზე

პატივისცემით,

არჩილ კონცელიძე

ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ბათუმი 6010, გ. ტაბიძის ქ. 56. ტელ: +995 800000810 (103), ელ.ფოსტა:
Batumi.inspection@gmail.com, ს/კ: 445573488
56 G. Tabidze Str, 6010 Batumi, Georgia; Tel.: +995 800000810 (103), Email:
Batumi.inspection@gmail.com, I/N: 445573488

საქართველოს კონკურენციის ეროვნული
სააგენტო
კანცელარია
01/2514 28 ივლისი 2023 წ.
ფურცლების
რაოდენობა 1 ფურცელი

ენობრივი დარღვევები

#	ობიექტის დასახელება	მისამართი	საიდენტიფიკაციო ნომერი	შენიშვნა
1	შპს "გრილ ფუდ"	ქუთაისის ქ.#7	446760737	
2	შპს"ქიზილ 2023"	ჟორდანიას ქ.7	437375859	
3	"კაფე ბარი კოსმო"	მ. აბაშიძის ქ.#11	58501034201	ი/მ ანდრეი ხარბედია
4	კაფე ბარი "სახლი" ბინა კაფე"	მაზნიაშვილის ქ.#6	61001025193	ვლადისლავ კირიაკოვი
5	კაფე "ბარუმი"	მაზნიაშვილის ქ.#4	3066412325	ალექსანდრ ვასილევ
6	შპს "ჰარვიდენტი"	გამსახურდიას 21	445689933	
7	შპს "ინვესტ ინ ჯორჯია" მამა აზია	მაზნიაშვილის ქ.#3	404549921	
8	შპს "დარია"	მელაშვილოის ქ.#25	445598032	
9	შპს "მაქსი სენდვიჩ ჩიქენ"	მ. აბაშიძის ქ.#7	445662818	
10	კაფე -ბარი	დ. თავდადებულის ქ.#10	145798438	ი/მ მარია კალუსტიან